

ლადო პაპავა:
**“რუსეთის ბაზრის სრულფასოვანი გახსნა არ
მოხდება”**

ჟურნალი “სარკე” – 20-26 თებერვალი, № 8, 2013 წელი

– ბატონო ლადო, საუბარი 2013 წლის ბიუჯეტით დავიწყოთ.

– წლეკანდელი ბიუჯეტი პრინციპულად და თვისობრივად განსხვავდება წინა წლის ბიუჯეტისგან. კოდექსი იგივე დარჩა, რომელიც ზღუდავდა ფინანსთა სამინისტროს შემოქმედებას, მაგრამ ფინანსთა სამინისტროს დამსახურებად უნდა ჩაითვალოს ის, რომ მან შეასრულა საბიუჯეტო კოდექსის ყველა მოთხოვნა და დამატებით ისეთი რამ გააკეთა, რამაც გაზარდა ბიუჯეტის გამჭვირვალობა – დაურთო ცხრილები, რასაც კანონმდებლობა არ ითვალისწინებს.

– ეს რას ცვლის?

– ბევრ რამეს. სხვა ხარჯები ბიუჯეტის 12-15 პროცენტს შეადგენს, ანუ კორუფციული წყარო არსებობს და მივადექით მორალს, რამდენად მორალური თუ ამორალურია ესა თუ ის მინისტრი. ნოდარ ხადურმა ამ ცხრილებით გაშიფრა ე.წ. სხვა ხარჯები, რაც ნოვაციიაა. იმავდროულად გაჩნდა სხვა ნოვაციებიც – აპრილიდან პენსიების გამოთანაბრება. არ მესმის, რატომ უნდა იყოს საპენსიო ასაკის სტაჟის გამო პენსიის ოდენობაში განსხვავება. შრომითი სტაჟი რომ იყოს, კიდევ გასაგებია.

– საუბარია პენსიის ზრდაზეც.

– პენსიის აწევა საარსებო მინიმუმის დონემდე, რომელიც 2012 წლის ოფიციალური ინფორმაციიდან გამომდინარე 150 ლარია, მოხდება სექტემბერში. ამ კუთხით მოქმედებაც სწორია. პენსია არ უნდა იყოს საარსებო მინიმუმზე დაბალი და მეორე, ჯობია, პენსია გაზარდო შემოდგომაზე, რაც მარტივად ახსნადია. შემოდგომაზე არის ჭირნახული, არის სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მიწოდების ზრდა ბაზარზე და როცა მიწოდება იზრდება, პენსიების ზრდით გამოწვეული ინფლაციის ზეწოლა გიმსუბუქდება. ეს კი ის სქემაა, როცა პენსიონერს უზრდი პენსიას ისე, რომ ფასები ძალიან არ გაიზარდოს. ჩანაფიქრი სწორია.

– მაგრამ კითხვას საარსებო მინიმუმი ბადებს. რამდენად რეალურია ის?

– ამიტომაც 2013 წელს მთავრობამ უნდა გადასინჯოს საარსებო კალათა და მისგან გამომდინარე უნდა განსაზღვროს პენსიის შემდგომი ზრდაც.

– **როგორც მითხრეს, დღეს არსებულ კალათაში არ არის გათვალისწინებული მედიკამენტები და ტრანსპორტი.**

– ყველაფერი გათვალისწინებულია, მაგრამ არაადეკვატურად. მქონდა შეხვედრა სტატისტიკის ეროვნული სააგენტოს უფროსთან, ბატონ ზაზა ჭელიძესთან. მას კარგად წარმოუდგენია, რა არის გასაკეთებელი, უბრალოდ სტატისტიკა არ სჭირდებოდა ნაციონალურ მოძრაობას. გაიხსენეთ, ვანო მერაბიშვილმა პრემიერად დამტკიცებისას რა უპასუხა ქრისტიან-დემოკრატებს. უთხრა, მე ქართულ სტატისტიკას არ ვენდობი და არაფერში მჭირდებაო. ასეთი აგდებული დამოკიდებულება სტატისტიკაზეც აისახა. მოგვიანებით სტატისტიკის ეროვნული სააგენტო თბილისიდან წყნეთში, კალაშოვის სახლში „გაასახლეს“. არაფერს ვამბობ დაბალ ხელფასებზე, სააგენტოს ძველ ოფისში კი გიგი უგულავამ მაღაზიები გახსნა.

ამ დროს სტატისტიკა უმნიშვნელოვანესია. წარმოიდგინეთ ლაბორატორია, რომელიც ანალიზების მონაცემებს ან სულ არ წერდეს, ან – ისე, როგორც თვითონ გაუხარდება, ექიმის დიაგნოზი ხომ არასწორი იქნება? ასეა სტატისტიკაც – სტატისტიკა სჭირდება ყველას, მთავრობას, რომ გაიგოს, რას აკეთებს; პარლამენტს, რომ გააკონტროლოს მთავრობა; პრეზიდენტს, რომ ოცოდეს, რა მდგომარეობაა; ჩვენ, ექსპერტებს, გვჭირდება, რომ შევაფასოთ სიტუაცია... სტატისტიკის ეროვნული სააგენტო ახლა საყოველთაო აღწერისთვის ემზადება. დღემდე არ ვიცით, რამდენი ადამიანი ცხოვრობს ქვეყანაში. არასოდეს იყო ამით დაინტერესება, რადგან არჩევნების გაყალბების დროს მნიშვნელობა ჰქონდა, ეს რიცხვი ჩვენ არ გვცოდნოდა. ახლა მზაობა არის და ამას მხარდაჭერა სჭირდება.

– **ბიუჯეტში დაუბეგრავ მინიმუმზეც არის საუბარი.**

– ესეც სიახლეა, ანუ იმ მოქალაქეების წლიური შემოსავლიდან, რომელიც არ აღემატება 6 000 ლარს, ეს არის 500 ლარი თვეში, გამოირიცხება 150 ლარი, რომელიც არ უნდა დაიბეგროს, თუმცა წლის განმავლობაში ყველა გადაიხდის 20 პროცენტისან საშემოსავლო გადასახადს, მაგრამ მეცამეტე ხელფასის სახით უკან დაუბრუნდებათ 360 ლარი. მიდგომა სწორია, მაგრამ პრაქტიკაში რთულად განხორციელებადი. მე უფრო სხვა მიდგომას შევთავაზებდი – საგადასახადო კოდექსში ჩავწერდი, რომ საქართველოში თვიური ხელფასი არ უნდა იყოს 200 ლარზე ნაკლები. ანუ ყოველთვიურად რომ გადაიხდიდა კაცი 20 პროცენტს, ანუ 40 ლარს, ხელზე დარჩებოდა 160 ლარი და ეს ამ ეტაპზე მეტი იქნებოდა საარსებო

მინიმუმზე. ამ მიდგომის განხორციელება ტექნიკურად ძალიან მარტივი იქნებოდა და ამ პარამეტრის გადასინჯვა მოხდებოდა ყოველ წელს ბიუჯეტის განხილვასთან ერთად.

– მოქალაქემ სამსახური რომ წლის ბოლომდე დატოვოს, მაშინ?

– ეს კითხვა დაუსვით ფინანსთა სამინისტროს. ბევრი პრობლემაა, თუმცა თბილისში – არა, აქ საბანკო სისტემა მოწყობილია და თითქმის ყველა ბარათით იღებს ხელფასს, მაგრამ ცოტა ძნელად წარმომიდგენია, როგორ იქნება სოფელში. თან შემოსავალზეა ლაპარაკი და არა – ხელფასზე. შეიძლება სკოლის მასწავლებელია, რომელმაც რაღაც მოიყვანა თავის ბოსტანში და გაყიდა, ამას ვინ აღრიცხავს? მაგრამ ეს ფინანსთა სამინისტროს პრეროგატივაა და ვნახოთ, როგორ განახორციელებს.

– ივანიშვილმა ბევრი ილაპარაკა სასოფლო-სამეურნეო ფონდზეც. ამის შესახებ როგორია თქვენი აზრი?

– სოფლის მეურნეობის დარგში მნიშვნელოვანი ნოვაციებია, მაგრამ ჩნდება რამდენიმე კითხვა. საუბარია, რომ ფონდში არის 700 მლნ ლარი, მაგრამ დაპირება ხომ მილიარდი იყო? 300 მლნ ცოტა ფული არ არის, თუმცა 700 მლნ ლარი წელიწადშიც კარგი თანხაა ამ დარგისთვის, მაგრამ განმარტება ხომ უნდა იყოს, საიდან მოდის ეს ფული? ბიუჯეტში ეს ფული არ ზის. ნოდარ ხადურმაც რამდენჯერმე განმარტა, რომ სასოფლო-სამეურნეო ფონდს ბიუჯეტი არ დააფინანსებს. მაშინ საიდან გაჩნდა? ეს არის „ქართუ ჯგუფიდან“ აღებული ფული თუ ინვესტორების, ინფორმაცია არ არის.

– ივანიშვილის პრესკონფერენციაზე ვაუჩერების თემასთან დაკავშირებით თქვენი, როგორც ამ იდეის მოწინააღმდეგის, გგარი ახსენეს. მართლა გადაყრილი ფულია ვაუჩერები?

– არ მინდა, ვინმეს ეგონოს, რომ მე პრინციპული წინააღმდეგი ვარ ვაუჩერების. ვაუჩერი შეიძლება დაარიგო, როცა არის კრიზისული ვითარება და დაეხმარო შეჭირვებულ მოსახლეობას, მაგრამ ამას სისტემატურად აკეთებდნენ, რომ პოლიტიკა არ გაგაჩნია.

ნაციონალებს ჰქონდათ ორი ტიპის ვაუჩერი, ერთი – სამომხმარებლო და მეორე – წარმოებაზე ორიენტირებული. ორივეს ვაუჩერს ეძახდნენ, მაგრამ სხვადასხვა შინაარსის იყო. ელექტროენერჯის ვაუჩერი იყო სამომხმარებლო. შეჭირვებულს აძლევდნენ 20 ლარს, რომელსაც ელექტროენერჯის საფასური უნდა შეემცილებინა. 30 ლარიანი სასოფლო-სამეურნეო ვაუჩერი დიხელის შესასყიდად იყო, რომელიც უნდა გეყიდა წარმოებისთვის. რაც შეეხება სასოფლო-სამეურნეო

ბარათს, რომელიც არის ივანიშვილის შემოთავაზება, ის თვისობრივად განსხვავდება ელექტროენერჯის ვაუჩერისგან, მაგრამ დიდი მსგავსებაა სასოფლო-სამეურნეო ვაუჩერთან. განსხვავება იმაშია, რომ 30 ლარიანი დიზელის შესასყიდი ვაუჩერი პრაქტიკულად წყალში გადაყრილი იყო, რადგან 30 ლარის დიზელით რა უნდა გააკეთოს გლეხმა.

რაც შეეხება ბარათს, ეს უფრო მდიდარ მენის სთავაზობს გლეხს. დამოკიდებულია იმაზე, რა რაოდენობის მიწაა, თუ ტრაქტორი ვერ შედის – 100 ლარიანი, თუ შედის – 510 ლარამდე. ეს ის შემთხვევაა, როცა რაოდენობრივი მაჩვენებელი თვისობრიობაში გადადის.

გარდა ამისა, 30 ლარიანი ვაუჩერის უკან არანაირი პოლიტიკა არ იდგა. გახსოვთ, გვეყავდა ასეთი კარიკატურული მინისტრი – ბაკურ კვეხერელი, რომელიც ბაყაყების ექსპორტზე ლაპარაკობდა და ზუგდიდში ნიანგების ფერმის პერსპექტივაზე. რაც შეეხება „ქართულ ოცნებას“, ის სასოფლო-სამეურნეო მენიუში გვთავაზობს ბევრ რამეს, მათ შორის – კრედიტების აღებას დაბალი პროცენტით, რომელიც გლეხს დაეხმარება საქმიანობის წარმოებაში. გამოვიდა, რომ ბარათი არის ერთ-ერთი კომპონენტი მთელი აგრარული პოლიტიკისა, ხოლო ვაუჩერი იყო ერთადერთი კომპონენტი, და ამდენად გადაყრილი ფული.

მაგრამ ჩემთვის როგორც გაუგებარია ის, თუ საიდან არის ის 700 მლნ ლარი, ასევე გაუგებარია, როგორ ხდება ამ კრედიტების გაცემა, როგორ ჩაერთვება ამაში სასოფლო-სამეურნეო ფონდი. გასაგებია მხოლოდ ის, რომ ფონდი ფარავს საპროცენტო განაკვეთში სხვაობას – თუ გლეხი იღებს 7-8 პროცენტად კრედიტს, რომელიც ნაკლებია ნომინალურ საბანკო პროდუქტზე, იმ სხვაობას დაფარავს ფონდი. მაგრამ გაუგებარია, როგორ მოხდება ბანკების შერჩევა, ბანკების მომსახურების საფასური რამდენია, კრედიტის გაცემის დროს რა ჩაიდება გარანტიაში და აქ მივადექით ერთ საკითხს – სოფლის მეურნეობის სამინისტროს ესაჭიროება გააქტიურება.

– დაგუშვათ, აქამდე ყველაფერმა გამართულად იმუშავა, გლეხმა აიღო დაბალპროცენტოანი კრედიტი, ჩადო სახლი, აწარმოა, მაგრამ შემდეგ? ჩვენ ხომ იმ საუკუნეში ვცხოვრობთ, როცა გაყიდვას პრობლემა და არა – წარმოება.

– ამ კითხვაზე პასუხი უნდა გავცეს სწორედ სოფლის მეურნეობის სამინისტრომ. თუ იმას მეტყვის ვიღაც, რომ რუსეთის ბაზარი გაიხსნება და ეს არისო, მე ამას სერიოზულად არ აღვიქვამ. რომც გაიხსნას, იქ პროდუქტს გლეხი მაინც ვერ გაიტანს. იქ კი არა, შეიძლება თბილისშიც ვერ ჩამოიტანოს გასაყიდად. შიგა ბაზარიც გაჯერებულია სხვადასხვა უცხოური პროდუქტით, ანუ აქაც არის

ქართული პროდუქტის ნაკლებობა. ასევე დიდი მნიშვნელობა აქვს სასოფლო-სამეურნეო გადამამუშავებელ საწარმოებს. ამისათვის კრედიტი რომ არის გამოყოფილი სასოფლო-სამეურნეო ფონდიდან, ივანიშვილის საპრეზენტაციო მასალაში წერია, მაგრამ როგორ მოხდება კრედიტის ამუშავება – არა. ჩანს, რომ საქართველოს მთავრობას აქვს ხედვა, მაგრამ კარგი იქნება, ჩვენც გაგვაცნოს არა დოზირებულად, არამედ სრულად.

– საინვესტიციო ფონდის შექმნას როგორ აფასებთ?

– საინვესტიციო ფონდის შექმნას მივესალმები, რადგან საინვესტიციო ფონდში შეიძლება უფრო აქტიურად მოიზიდო უცხოური ინვესტიცია. როგორ უნდა მოხდეს მოზიდვა და როგორ უნდა იმუშაოს, ამაზე ინფორმაცია, ცხადია, ივანიშვილს 100 დღის შედეგებში ვერ ექნებოდა, მაგრამ ამაზე ინფორმაცია უნდა გააუღეროს ეკონომიკის სამინისტროს ხელმძღვანელობამ. აქ უკვე მეორე რამეს მივაღებთ, სადაც ასევე არის უკმარისობის განცდა. გახსნილობა აკლია ამ სამინისტროს. მას სჭირდება ურთიერთობა პროფესიონალებთან, რომლებსაც აუხსნი, რას აპირებ. თუ კარგად არ გაქვს გააზრებული, ისინი გეტყვიან რა ჯობია. ეს სამინისტროსაც სჭირდება და ქვეყანასაც.

– ბატონო ლადო, წინა ხელისუფლება გამუდმებით ტურიზმსა და ინფრასტრუქტურის განვითარებაზე საუბრობდა. თქვენ როგორ ფიქრობთ, რა შიდა საქართველოს მიმზიდველობა ინვესტორებისათვის?

– საქართველოს უპირატესობა არის შესწავლილი, როგორც ქართველი, ასე უცხოელი სპეციალისტების მიერ. ერთ-ერთი ასეთი უპირატესობა არის სატრანსპორტო დერეფანი, რომელიც აკავშირებს ევროპასა და აზიას. ამ მიმართულებით ყველა პროექტი არის მიმზიდველი. მეორე, აგრარული სექტორია, მაგრამ ის დღეს ღრმა კრიზისშია. 54 პროცენტი მოსახლეობისა ცხოვრობს სოფლად, ხოლო მთლიან შიგა პროდუქტში სოფლის მეურნეობის წილი მხოლოდ 8 პროცენტია. და მესამე, საქართველოს სერიოზული პერსპექტივა აქვს სამშენებლო მასალების წარმოებაში. ეს დარგიც ჩამკვდარია. ხედავთ, მენიუ საკმაოდ ვრცელია.

– სატრანზიტო დერეფანში თუ ხედავთ ანაკლიის პორტის პერსპექტივას, რომელიც აჩემებად ექცა სააკაშვილს?

– სააკაშვილი ვამხილეთ კიდევ ერთ ტყუილში. ახლა პორტს რომ გაიძახის, აქამდე ქალაქს არ ლაპარაკობდა? კონსტიტუციაში პორტია ჩაწერილი თუ ქალაქი? ქალაქი! ახლა რომ ამბობს, პორტს ვგულისხმობდიო, არ არის მართალი. ცდილობს, შეცდომაში შეიყვანოს საზოგადოება. ოპტიმისტურად არ ვარ განწყობილი პორტთან მიმართებაში, საკმაოდ სერიოზული თემაა. ჯერ კიდევ

შეგარდნადის მთავრობაში იხილებოდა ანაკლიის პორტის საკითხი და მახსოვს, ერთ-ერთ შეხვედრაზე ითქვა, რომ ეს იქნება შავ ზღვაზე უნიკალური პორტი, სადაც შემოვა ძალიან დიდი წყალწყვის გემები. მაგრამ მერე, იცით, რა აღმოჩნდა? ამ პორტს პერსპექტივა არ ექნება იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ ისეთი წყალწყვის გემები, რომლებიც გაჩერდება ანაკლიის მიმდებარე ტერიტორიაზე, შავ ზღვაზე არ დაცურავს. ანუ ეს იქნება გემი, რომელმაც უნდა დაარტყას წრე შავ ზღვას და უკან დაბრუნდეს, რადგან ბოსფორზეც არ გაუშვებენ. ანუ რა გამოგვივა? ნავსაყუდელი “ავრორასათვის”!

ანაკლიაში რომ გაკეთდეს ჩვეულებრივი პორტი, არახალია, ჯერ კიდევ კომუნისტებიდან მოდის. საინჟინრო კვლევები ჩატარებულია, მაგრამ ეს არ არის მარტო ინჟინრული პროექტი, აქვე უნდა იყოს ეკოლოგიური, ურბანიზაციული პროექტებიც. მხოლოდ ამ შემთხვევაში იქნება სწორი ვერდიქტი გამოტანილი.

და კიდევ ერთი დეტალი, ეს არის აფხაზეთის მიმდებარე ტერიტორია. ჩვენ შეთანხმება ცეცხლის განუახლებლობაზე არ გვაქვს მიღებული და ვერც ვიღებთ, რადგან არ ვიცით, როგორ წარიმართება სიტუაცია და ამ ვალდებულების აღება არ გვინდა. ანუ ქვეყანა საომარ სიტუაციაშია. ახლა გეკითხებით, ვინმე ჩადებს ამ პორტში ფულს? ასევე უნდა იყო გააზრებული, ანაკლიის განვითარებით რა მოხდება ფოთში, ბათუმში ანუ პრობლემა კომპლექსურად არის დასანახი.

– აფხაზეთის რკინიგზას რა სარგებელის მოტანა შეუძლია საქართველოს ეკონომიკისთვის?

– ესეც კომპლექსურადაა განსახილველი. განყენებულად, რადგან საქართველო სატრანსპორტო დერეფანია, რაც მეტი სატრანსპორტო არტერია გვექნება ქვეყანაში, უკეთესია, მაგრამ საქართველოს ტერიტორიები დღეს არის ოკუპირებული რუსეთის მიერ. სავაჭრო ურთიერთობები რუსეთთან შეიძლება დარეგულირდეს, მაგრამ ბაზრის სრულფასოვანი გახსნა, სავარაუდოდ, არ მოხდება, ამის პროგნოზს აკეთებენ რუსი ექსპერტებიც. აქედან გამომდინარე, შემიძლია, მარტივად გიპასუხოთ, საქართველოს ეს რკინიგზა დღეს არაფერში სჭირდება. უფრო მეტიც, ეს რკინიგზა საქართველოს შეუქმნის პრობლემებს აზერბაიჯანთან, რომელსაც ნამდვილად არ უნდა, რომ გაძლიერდეს სომხეთი. რეგიონში არის რამდენიმე მოთამაშე, ვისაც ეს რკინიგზა სჭირდება – სომხეთი, რუსეთი და ირანი. 7-8 წლის წინ განიხილებოდა პროექტი სომხეთ-ირანის დამაკავშირებელი რკინიგზის შესახებ და მერე შეჩერდა, მაგრამ თუ სომხეთი დაუკავშირდა რუსეთს რკინიგზით, ეს პროექტი განახლდება და უკვე მივადექით

იცით ვის? ამერიკის შეერთებულ შტატებს. მისი დამოკიდებულება როგორი იქნება?

და კიდევ ერთი რამ – სომხეთს თავისი რკინიგზა არ გააჩნია. ის რკინიგზა, რომელიც სომხეთში გადის, დიდი ხანია იყიდა რუსეთის რკინიგზამ, შეუცვალა სახელი და დაარქვა სამხრეთ კავკასიის რკინიგზა. ხომ სასაცილოა, რომ სომხეთის პატარა მონაკვეთი იყოს სამხრეთ კავკასიის რკინიგზა, ანუ ამბიცია აქვს, გაკონტროლდეს საქართველოც. ახლა მის გახსნა-არგახსნაზე საუბარი. მიუხედავად ჩემი პოზიციისა, ვთვლი, რკინიგზა შეიძლება მაინც გაიხსნას მხოლოდ ერთ შემთხვევაში, თუ ის იქნება კომპონენტი რაღაც ერთიანი პაკეტის, ანუ რაღაცის სანაცვლოდ გაიხსნება. ასევე, მის გახსნაში სოხუმიც უნდა იყოს დაინტერესებული.

– პაატა ზაქარეიშვილი ამ პროექტს აფხაზი და ქართველი მოსახლეობის დამაახლოებელ ფაქტორად განიხილავს.

– ზღაპარია, რომ რკინიგზა ხელს შეუწყობს ხალხებს შორის დაახლოებას! ის რკინიგზა თუ გაიხსნება, იქნება ტვირთებისთვის. თუ მოქალაქეებზე მიდგა საქმე, სომხეთის მოქალაქეებისთვის იქნება იმიტომ, რომ აფხაზეთის ტერიტორიაზე ჩვენ არავინ შეგვიშვებს, არც რუსეთის ტერიტორიაზე შესვლაა შესაძლებელი ვიზის გარეშე. ადამიანებს შორის ურთიერთობაში არა – რკინიგზა, არამედ სავიზო რეჟიმის შემსუბუქება, ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ კანონში მოქალაქეების გადაადგილებასთან დაკავშირებით რეჟიმის შემსუბუქებაა საჭირო. ხალხების დაახლოების თვალსაზრისით, მე უფრო პესპექტიულად სავაჭრო ტერიტორიების გაკეთება მიმაჩნია საზღვრისპირა რეგიონებში.

– ერგნეთის ტიპის?

– თუნდაც, ერთი – აქ და მეორე – ენგურთან, მაგრამ ამას სჭირდება შეთანხმება თბილისს, სოხუმსა და მოსკოვს შორის, ისევე როგორც თბილისს, ცხინვალსა და მოსკოვს შორის.

– ყოფილმა პრემიერმა ვანო მერაბიშვილმა ქვეყანას ღრმა კრიზისის დიაგნოზი დაუსვა რამდენიმე ხნის წინ. თქვენი აზრი როგორია?

– მერაბიშვილის განცხადება არასერიოზულია. ერთი თვით ეკონომიკური კლება არ ნიშნავს კრიზისს. კრიზისი რომ დავარქვათ, ორი კვარტლის განმავლობაში უნდა იყოს უწყვეტად კლება – რეცესია, რასაც მოსდევს კრიზისი. სახეზე კი გვაქვს ფლუქტაცია და ეს ახსნადია. ეს გამომდინარეა იქიდან, რომ შეიცვალა პოლიტიკითარება და ფინანსთა სამინისტრომ შეცვალა დამოკიდებულება იმ წურბელა ფირმების მიმართ, რომლებიც საზრდოობდნენ ბიუჯეტის ხარჯზე.

ახლა ხდება ტრანსფორმაცია, ეკონომიკის გათავისუფლება სამთავრობო კონტროლისგან.

– მაგრამ მოსახლეობა რომ ნაკლებმყიდველი გახდა, ეს რას მივაწეროთ? ამას წინათ ერთი მაღაზიის მეპატრონემ იხუმრა, მეგონა, მაღაზია გავხსენი და თურმე მუზეუმი გამიხსნიაო. ხალხი მაღაზიებში დადის, მაგრამ ცოტა თუ ყიდულობს.

– ერთი წელია სტატისტიკის ეროვნული სააგენტო აფიქსირებს ფასების კლებას, ანუ როდის ჩაეყარა ამ პროცესს საფუძველი? ერთი წლის წინ, 2012 წლის დასაწყისში. ვინ იყო მაშინ ხელისუფლებაში? ნაციონალები. დეპრესიული მომხმარებელი, ანუ როცა მყიდველს ფული არ აქვს, შექმნეს ნაციონალებმა. ჯადოსნური ჯოხი ეკონომიკაში, ერთ დღეში ყველაფერი შეცვალა, არ არსებობს. მთავრობის ხედვა არის აბსოლუტურად სწორი, რომ გაზარდოს მსყიდველობითი უნარი მოხუცების პენსიების ხარჯზე, განავითაროს სოფლის მეურნეობა... შედეგების მიღებას კი დრო უნდა.

მანანა გეგია